საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია

მუხლი 1. სტუ-ს სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – სტუ) უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოიპოვა სტუ-ში ჩარიცხვის უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)

2. სტუ-ს ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების, ჩასარიცხი პირის რეგისტრაციისას წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და სწავლების საფასურის გადახდა) და აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) რეგისტრაციის გავლის საფუძველზე, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)

3. აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანიდაოსურენოვანი აბიტურიენტების ჩარიცხვა, ავტორიზაციის შედეგად სტუ-სათვის დადგენილი სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)

4. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება „საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების და მაგისტრატურის შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების შესაბამისად. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)

5. სტუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

6. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა მაგისტრატურაში მისაღები საერთო-სამაგისტრო და საუნივერსიტეტო სპეციალობის გამოცდების შედეგების მიხედვით შედგენილი რანჟირების დოკუმენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ. აღნიშნული აქტი იგზავნება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ამავე პუნქტში მითითებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებებს, სტუ-ში არ ჩაირიცხება და მის ადგილს დაიკავებს რანჟირების დოკუმენტით დაგროვებული ქულების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატი.

7. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

8. დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხორციელდება დოქტორანტურის დებულების შესაბამისად. დოქტორანტურაში ჩარიცხული პირი ვალდებულია ჩარიცხვის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის გამოსვლიდან 1 კვირაში გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია.

9. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით სტუ-ში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დასაშვებია:

   ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
   ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
   გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
   დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

10. მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით სტუ-ში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დასაშვებია:
    ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
    ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;
    გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის

მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობითგანსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

10[1]. სტუ-ში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე დასაშვებია იმ პირისათვის, რომელმაც გადალახა შესაბამისი ზღვარი სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)

11. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული პროგრამა არის 60-კრედიტიანი, მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ სტუ გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ სტუ-ის ქართულენოვან ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე. მითითებული პირები სტუ-ში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – გამოცდების ცენტრი) მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)

12. ამ მუხლის მე-9-მე-11 პუნქტებში მითითებულმა პირებმა სტუ-ში სწავლის გაგრძელების მიზნით განცხადებით უნდა მიმართონ სტუ-ს რექტორს წერილობითი თანხმობის მისაღებად. განცხადებაშიპირის მონაცემებთან (სახელი, გვარი, პირადი ნომერი/პასპორტის ნომერი, მოქალაქეობა) ერთად მითითებული უნდა იყოს ფაკულტეტი, სწავლების საფეხური, პროგრამის/სპეციალობის დასახელება, სწავლების ენა.

13. აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის განცხადებას უნდა დაერთოს პირველ დანართში ჩამოთვლილი დოკუმენტები.

14. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. დასაშვებია ნოტარიუსის მიერდამოწმებული თარგმანის ასლების წარმოდგენა.

15. შესაბამისი კომისია გაეცნობა წარმოდგენილ განცხადებასადა თანდართულდოკუმენტებს და გაესაუბრება აბიტურიენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს. სტუ უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის (შემდგომში სამინისტრო) ხელმისაწვდომობას. კომისიის გადაწყვეტილებით, პირის მიერ სასწავლო პროცესში მონაწილეობის უნარის დასადგენად, შესაძლებელია მას ჩაუტარდეს ტესტირება.

16. გასაუბრების/ტესტირების დადებითი შედეგის შემთხვევაში კომისიის რეკომენდაციით გაიცემა

რექტორის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარის, პირადი ნომრის/პასპორტის ნომრის,ფაკულტეტის, სწავლების საფეხურის, პროგრამის დასახელების და სწავლების ენის მითითებით). თანხმობის წერილში მიეთითება აგრეთვე, სასწავლო პროცესში სავარაუდოდ რომელი სემესტრიდან შეიძლება დაშვებულ იქნეს სტუდენტი.

17. პირი, რომელიც ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით თანხმობას მიიღებს, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნბრძანების თანახმად, უფლებამოსილია შესაბამის ვადებში განცხადებით მიმართოსსაჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.მაგისტრანტობის კანდიდატებმა, რომლებიც უსდ-ში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, უფლება აქვთ მიმართონ აგრეთვე სამინისტროს. სამინისტროს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი ბრძანება ეგზავნებასტუ-ს. სტუ ვალდებულია მოახდინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მიზნით ჩარიცხვის ბრძანებაში მიეთითება სტუდენტის სასწავლო პროცესში დაშვების თარიღის თაობაზე. კერძოდ, თუ სამინისტროს ბრძანება სტუ-ში მოვიდა სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა, პირი დაიშვება სასწავლო პროცესში მიმდინარე სემესტრიდან, ხოლო თუ სამინისტროს აღნიშნული ბრძანება მოვიდა სტუ-ში სემესტრის დაწყებიდან 6 კვირის შემდეგ, პირი დაიშვება სასწავლო პროცესში მომდევნო სემესტრიდან.
18. სტუ უფლებამოსილია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისათვის დააწესოს განსხვავებული სწავლის საფასური. იგივე პირობები ვრცელდება სტუ-ში მობილობით გადმოსულ სტუდენტებზე, რომლებმაც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსი მოიპოვეს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე.

მუხლი 2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი
(№01-05-04/231, 21.08.2019წ.)

1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა რთული კომპლექსური ამოცანაა, რაც მოითხოვს მრავალი, ხშირად ერთმანეთზე დამოკიდებული ფაქტორების ანალიტიკურ გააზრებასა და ოპტიმალურ გადაწყვეტას.
2. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მისი გახორციელების მექანიზმი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, რესურსებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის მიერ შერჩეული ინდიკატორების (იხ. დანართი 3)ფაქტობრივ სიდიდეებს და მათ სამიზნე ნიშნულებს

და სხვ., რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

3. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტი წარმოადგენს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების საერთო რაოდენობას. შესაბამისად, კონტინგენტის დაგეგმვა მჭიდროდაა დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასთან და განვითარებასთან.
4. საგანმანათლებლო პროგრამის კონტინგენტის დაგეგმვა ხდება ფაკულტეტის მიერ, მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური დეპარტამენტების ჩართულობით; იგი ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, შრომის ბაზრის (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ვაკანსიები, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და მათი წერილობითი დადასტურება სპეციალისტების მიმართ მიმდინარე და საპროგნოზო მოთხოვნებზე) კვლევის შედეგებისა და პროფესიული ასოციაციების, აგრეთვე სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციების ანალიზს. გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ იგივე კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება.
5. მიღებული სიდიდე ექვემდებარება დაზუსტებას უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე/აკადემიურ დეპარტამენტში/დეპარტამენტებშიპროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი თითოეული კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო სათანადო აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, მატერიალური (შენობა-ნაგებობების, აუდიტორიების, ლაბორატორიების, კაბინეტების, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სხვა სათავსების მდგომარეობა და სათანადო ინვენტარით აღჭურვილობა, ელექტროენერგიითა და მასალებით უზრუნველყოფა, საერთო და სასწავლო ფართის სიდიდე და სხვ.), საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, ფინანსური რესურსების და სტუდენტური სერვისების არსებობით, პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების გატარების შესაძლებლობით, სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასააუდიტორიო აქტივობისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობით, აგრეთვე მოქმედ პროგრამებზე – კურსდამთავრებულთა დასაქმების (მათ შორის, მიღებული კვალიფიკაციით) სტატისტიკური მაჩვენებლებით.
6. უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი რესურსების არსებობა (პროგრამის ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის უნარის მქონე აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, აგრეთვე უცხოენოვანი ლიტერატურა, ვებგვერდი, საინფორმაციო საშუალებები, ნორმატიული დოკუმენტაცია და სხვ.), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
7. პროგრამის კონტინგენტის დაგეგმვისას აუცილებელია ხარისხის შეფასებების შედეგების გათვალისწინება, მათ შორის შემფასებელთა რეკომენდაციები, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებები.
8. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმვისას კონტინგენტის საანგარიშო სიდიდე გადააჭარბებს უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში ავტორიზაციის საბჭო) მიერ განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას, უნივერსიტეტს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სსიპ

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე.

9. სტუდენტთა კონტინგენტის შევსების/განახლების დაგეგმვა მოიცავს მომავალი სასწავლო წლის/სემესტრისთვის ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებით ან მათ გარეშე, მობილობით ან სხვა, სწავლების საფეხურის (ბაკალავრიატი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) შესაბამისი, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვისათვის მისაღები ადგილების რაოდენობის დადგენას, რისთვისაც სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი წინასწარ მიმართავს ფაკულტეტებს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)
10. მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას ფაკულტეტები, გარდა მე-4 პუნქტში დასახელებული ფაქტორებისა, ითვალისწინებენ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობას, მათ შორის დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის გაანალიზდება ბოლო სამი წლის სტატისტიკური ინფორმაცია:
    - გამოცხადებული საკონკურსო ადგილების რაოდენობა;
    - რეგისტრირებული (უპირატესად პირველი არჩევანით) აბიტურიენტების რაოდენობა;
    - ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;
    - სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა;
    - სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობა;
    - სტატუსაღდგენილი სტუდენტების რაოდენობა;
    - ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;
    - მობილობით (მათ შორის, შიდა მობილობით) გადასული სტუდენტების რაოდენობა;
    - მობილობით (მათ შორის, შიდა მობილობით) გადმოსული სტუდენტების რაოდენობა;
    - შრომის ბაზრის მოთხოვნები;
    - დასაქმებული (მათშორის, მიღებული კვალიფიკაციით)კურსდამთავრებულების რაოდენობა;
    - ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.
11. გასათვალისწინებელია ის, რომ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი რჩება სტუ-ს აქტიური სტატუსის მქონედ, ხოლო გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს არ ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.
12. ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის, რომ სტუდენტი, რომელიც ჩარიცხულია საქართველოს რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.
13. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სტუდენტების მიღებას

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებულია, ავტორიზაციის საბჭოს მიერ სტუ-ისთვის განსაზღვრული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვისათვის,გამოაცხადოს„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დადგენილი რაოდენობის ადგილები.

14. თითოეული პროგრამისათვის შედგენილი ანკეტა-კითხვარის მონაცემები განიხილება შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტემენტების სხდომაზე, მტკიცდება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს სხდომაზე და საბჭოსდადგენილებასა და მოხსენებითბარათთან ერთად წარედგინება სწავლების დეპარტამენტს.
15. სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) მისაღებად ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი მოთხოვნების გაერთიანებას, განხილვა-გაანალიზებას და წარდგენას აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)
16. აკადემიური საბჭო ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, მოცემულ ეტაპზე საქმიანობის პრიორიტეტებს, ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას, აგრეთვე სხვა ფაქტორებს.
17. სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს დადგენილ ვადებში სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრსა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)

მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური ჯგუფების ფორმირება

1. სტუ-ში სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან ათი დღის ვადაში ფაკულტეტის დეკანი სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგენს ბრძანების პროექტს სწავლების პირველ წელზე ჩარიცხულ სტუდენტთა აკადემიურ ჯგუფებში განაწილების შესახებ. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)
2. აკადემიური ჯგუფი შეიძლება იყოს ძირითადი ან არჩევითი .
   - ძირითადი ჯგუფი იქმნება „სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშების და განაწილების ინსტრუქციის“ შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. ძირითადი ჯგუფი იქმნება სწავლების პირველი წლიდან, თუ ფაკულტეტზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სხვა შემთხვევაში კი – ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული წესით.
   - არჩევითი ჯგუფი იქმნება რომელიმე არჩევითი საგნის/მოდულის/დამატებითი სპეციალობის შესწავლის მიზნით.
   - სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის მიზნით, ახალი დროებითი ჯგუფი იქმნება იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტზე არსებული რომელიმე ძირითადი ან არჩევითი ჯგუფი არ იძლევა სტუდენტების დამატების საშუალებას.
3. სტუ-ში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევანი არის ნებაყოფილობითი; არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის შესაბამის ჯგუფებში სტუდენტების განაწილების სიები გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილზე. დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური დეპარტამენტები

გამოყოფენ თანამშრომლებს, რომლებიც სტუდენტებს მიაწოდებენ საჭირო ინფორმაციას, გაუწევენ კონსულტაციებს და დაეხმარებიან მათ თავიანთი პროფილის განსაზღვრაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. ბაკალავრიატში/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე არჩევანის განხორციელების პირობები მოცემულია დოკუმენტში „სტუ-ში ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი“. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)

4. არჩევითი საგნებისთვის შექმნილი ჯგუფის ნომერი განისაზღვრება ძირითადი ჯგუფის ნომრით და ქართული ანბანის ერთი ასოთი. სტუდენტი ერთდროულად შეიძლება იყოს რამდენიმე ჯგუფში, რომელთაგან ერთი ძირითადია, დანარჩენი (მათ შორის დამატებითი სპეციალობის) – არჩევითი.
5. სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისას დეკანატი თითოეულ სტუდენტზე ქმნის პირად საქმეს.
6. პირად საქმეში უნდა იყოს:
   - სტუდენტის პირადი ბარათი;
   - სტუდენტის სასწავლო ბარათი;
   - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული, შესაბამის ფაკულტეტზე/პროგრამაზე ჩარიცხვის სერტიფიკატი (დედანი) – ბაკალავრიატი/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა; (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)
   - საერთო-სამაგისტრო გამოცდების შედეგების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი (დედანი).
   - მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ, სადოქტორო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების რეკომენდაცია, სამეცნიერო პუბლიკაციების სია, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (უწყისები, ოქმები) – დოქტორანტურა;
   - საფინანსო ხელშეკრულება (მათ შორის დამატებითი, არსებობის შემთხვევაში);
   - სასწავლო ხელშეკრულებები (მათ შორის დამატებითი, არსებობის შემთხვევაში);
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - დაბადების მოწმობის ასლი;
   - ოთხი ფერადი ფოტოსურათი 3X4 და მისი ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);
   - სამხედრო დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);
   - ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერი/დამოწმებული ასლი;
   - სტუდენტის სწავლების წლიდან მომდევნო სწავლების წელზე გადაყვანის ბრძანების ამონაწერი/დამოწმებული ასლი;
   - სტუდენტის აკადემიურ მოძრაობასთან დაკავშირებული ბრძანებების დამოწმებული ამონაწერები/ასლები.
7. სტუდენტის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს აგრეთვე სწავლის პერიოდში სტუდენტის მიერ წარმოდგენილი, სათანადოდ დამოწმებული ჯანმრთელობის ცნობები და სხვა საბუთები,

სტუდენტისთვის მიცემული დახასიათებების ასლები, მისი აქტიურობის, წახალისებისა და მასზე დისციპლინური ზემოქმედების ამსახველი ინფორმაცია და სხვ.

8. კურსდამთავრებულის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს აგრეთვე კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამოწმებული ამონაწერები/ასლები.
9. სტუდენტის პირადი ბარათში უნდა იყოს შემდეგი რეკვიზიტები:
   - სტუდენტის სახელი და გვარი (ქართულად და ინგლისურად);
   - პირადი ნომერი;
   - დაბადების თარიღი;
   - საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი;
   - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების მონაცემები.

მუხლი 4. სტუდენტთა მობილობა და შიდა მობილობა

(№01-05-04/231, 21.08.2019 წ., №01-05-04/92, 20.07.2021 წ.)

4.1. რეგულირების სფერო

სტუდენტთა მობილობისა და შიდა მობილობის სამართლებრივი უზრუნველყოფა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (შემდგომში – დაწესებულება) სხვა დაწესებულებაში გადასვლის წესით“, რომელიც არეგულირებს სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებასა (შემდგომში – მობილობა) და მის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში – შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას.

4.2. სტუდენტთა მობილობისა და შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირება

1. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა).
2. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის იქმნება მობილობის ელექტრონული პორტალი (შემდგომში – ელექტრონული პორტალი), რომლის წარმოების წესი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და რომელზეც აისახება დაწესებულებების მიერ მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების (შემდგომში – საგანმანათლებლო პროგრამა) მიხედვით.
3. მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის, დგინდება:
   ა) დაწესებულებების მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის მართვის სისტემაში ელექტრონულად წარმოდგენის ვადა;
   ბ) მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა;
   გ) მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა.

4.3. მობილობის უფლების მქონე პირი

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.
2. მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, დაწესებულებას შეეზღუდა სტუდენტთა მიღების უფლება ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
4. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) ადმინისტრაციული (ფინანსური) ან აკადემიური (სასწავლო) რეგისტრაციის გაუვლელობა;
   ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
   გ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
   დ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
   ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას;
   ვ) სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა;
   ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს ექვსი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.
6. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება სტუდენტს არ ათავისუფლების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.
7. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.
8. სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირი სტატუსის აღდგენისას, როგორც წესი, სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
   ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
   ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
   გ) პირადი განცხადება;
   დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით დადგენილ ვადებში;
   ე) სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის ნორმების საფუძველზე;
   ვ) გარდაცვალება;
   ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

10. პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, შეუძლია მისი აღდგენა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
11. პირს, რომელსაც შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი, შეუძლია მისი ხელახლა მოპოვება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
12. სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე გამოიცემა რექტორის ბრძანება.
13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალიწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.
14. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტის ვალდებულია უზრუნველყოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაციის ასახვა.
15. თუ პირს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, სტუ-ში სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის სტუ-ის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
16. სტუდენტი, რომლის დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესის მიზნებისათვის მიიჩნევა სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად და მასზე ვრცელდება აღნიშნული წესით დადგენილი პირობები.
17. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუ აღნიშნული პროგრამის სტუდენტს დაეხმარება უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა პროგრამის შერჩევაში, ხოლო მის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლაზე სურვილის გამოთქმის შემთხვევაში – დაწესებულებისა და პროგრამის შერჩევაში.

4.4. მობილობის უფლების შეზღუდვა

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.
3. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდის წევრის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირობით ჩარიცხვისა და დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის N88/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით ჩარიცხულ პირს, მობილობის უფლება წარმოეშობა პირობითი სტუდენტის სტატუსის მოპოვების მომდევნო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის საფუძველზე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემდგომ.

4. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:
   ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში – დებულება) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;
   ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
5. ამ პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე, ასევე იმ სტუდენტებზე, რომელთაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

4.5. მობილობისათვის გამოცხადებული ადგილების რეგისტრაცია

1. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
2. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, ავტორიზაციის ვადის გასვლის, დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმით, აკრედიტაციის გაუქმებით ან აკრედიტაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, ამ დაწესებულებების სტუდენტთა რიგგარეშე (დამატებითი) მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, გამარტივებული წესით. რიგგარეშე მობილობის გამოცხადების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ცენტრსა და მართვის სისტემას შორის წერილობითი შეთანხმებით.
3. მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, რიგგარეშე მობილობის გამოცხადების გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ პოზიციის დაფიქსირება.
4. სტუ, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ ვადაში, ელექტრონულად წარადგენს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) დაწესებულების დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი;
   ბ) მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და საკონტაქტო პირი;
   გ) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ასევე დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები, იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩააბარეს 2020 წელს და შემდგომ;
   დ) პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული) და შესაბამისი სტატუსის ვადა;

ე) პროგრამის სწავლების ენა;
ვ) პროგრამის განხორციელების ადგილი;
ზ) პროგრამაზე სწავლის საფასური;
თ) კრედიტების რაოდენობა;
ი) მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობა;
კ) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობა;
ლ) შენიშვნა (დაწესებულების მიერ გათვალისწინებული დამატებითი/სხვა ინფორმაცია).

5. „ა“, „გ“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების წყაროს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები და ივსება ავტომატურად, ხოლო „ბ“, „ზ“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია აისახება სტუ-ის მიერ.
6. მართვის სისტემა, მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს ხარვეზს და სტუ-ს განუსაზღვრავს ხარვეზის აღმოფხვრის ვადას ან ადასტურებს ინფორმაციის სისწორეს და ელექტრონულ პორტალზე განათავსებს დადასტურებულ მონაცემებს. მართვის სისტემის მიერ დადგენილ ვადაში სტუ-ის მიერ ხარვეზის გამოუსწორებლობა წარმოადგენს მობილობისათვის ადგილების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.
7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის „ა“ ქვექვეპუნქტის მიზნებისათვის, მობილობის ფარგლებში სტუ-ის მიერ ამ პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის „გ“ ქვექვეპუნქტის თანახმად წარდგენილ პროგრამებზე ჩასაბარებელი საგანი/საგნები შეესაბამება დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და დებულების დანართი №3-ით განსაზღვრული სწავლის სფეროების ან/და მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული საგნების ჩამონათვალს.
8. სტუ მობილობის გამოცხადებისას, იმ პროგრამებზე, სადაც დაშვების წინაპირობად, ამ პუნქტის მე-7 ქვეპუნქტის თანახმად, განისაზღვრება ერთზე მეტი საგანი, არ არის უფლებამოსილი ადგილების რაოდენობა გამოაცხადოს ცალ-ცალკე საგნების მიხედვით.

მუხლი 4.6. ერთიანი ეროვნული გამოცდებით 2020 წელს და შემდგომ ჩარიცხული სტუდენტების მობილობის თავისებურებები

1. მობილობაში მონაწილე ის სტუდენტი, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ, ვალდებულია აკმაყოფილებდეს სტუ-ის მიერ განსაზღვრულ ყველა წინაპირობას და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტის მე-7 ქვეპუნქტით განსაზღვრული საგანი/საგნები.
2. თუ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:
ა) იმ საგნისგან განსხვავებული საგანი, რომელიც ჩაბარებული აქვს მობილობის მსურველს, იგი მობილობის განხორციელებამდე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნული გამოცდებში და ჩააბაროს შესაბამისი საგანი/საგნები;
ბ) ერთზე მეტი საგანი, რომელიც შეესაბამება, დებულების დანართი №3-ით გათვალისწინებული სწავლის სფეროების მიხედვით განსაზღვრულ საგნების ჩამონათვალს, მობილობის მსურველს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ, ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის „ა“ ქვექვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა ჩაეთვლება დაკმაყოფილებულად ერთ-ერთი მათგანის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაშიც.

მუხლი 4.7. რიგგარეშე მობილობის ჩატარება გამარტივებული წესით

1. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმით ან აკრედიტაციის გაუქმებით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, რიგგარეშე მობილობა ტარდება

გამარტივებული წესით ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ბრძანებისა და მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

მუხლი 4.8. მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა

1. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით. რეგისტრაციის მონაცემები ძალაში შედის მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ.

2. პირველ პუნქტში მითითებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება:

ა) სტუდენტი, რომელიც მონაწილეობს რიგგარეშე მობილობაში;

ბ) სტუდენტი, რომლის ოჯახი, მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის პერიოდში, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;

3. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს ხუთი საგანმანათლებლო პროგრამისა. რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას იგი ვალდებულია განსაზღვროს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობა.

4.9. სტუ-ში მობილობით ჩარიცხვის უფლება

1. თუ სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, სტუ-ში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ სტუ-ის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება სტუ-ის მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, სტუ ჩარიცხავს მათ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ შემთხვევაში, დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება სტუ-სათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

3. მობილობის მსურველი მოიპოვებს შესაბამისი სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით, ამ პუნქტის პირველი და მე-2 ქვეპუნქტებით დადგენილი წესით.

4. პირი, რომელმაც გამოთქვა სურვილი სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ვალდებულია შეამოწმოს ელექტრონულ პორტალზე მობილობის შედეგი და დადებითი პასუხის შემთხვევაში, უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს სტუ-ს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საგანმანათლებლო დოკუმენტის, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. დაუშვებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული ასლების მიღებაში ხელის შეშლა.

5. მობილობის მსურველი, რომელიც სტუ-ის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით სტუ-ს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.10. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა

1. სტუ ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
2. აღიარებას ექვემდებარება სტუ-ის იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
4. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამით.
5. სტუ უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. სტუ უფლებამოსილია აგრეთვე დაადგინოს სტუდენტის მიერმიღებული შეფასებების შესაბამისობა შეფასების სხვა სისტემასთან (იხ. დანართი 2).
6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა განსხვავდება მე-2 დანართში მოყვანილი სისტემებისაგან, სტუ უფლებამოსილია მობილობით გადმომსვლელი სტუდენტისაგან მოითხოვოს გამომშვები დაწესებულებიდან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.
7. სტუ უფლებამოსილია საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები, რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)
8. აღიარება ფორმდება დასკვნის სახით სტუ-ის მიმღებ ფაკულტეტზე შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტამენტების უფროსის/უფროსების შემადგენლობით; კომისიის გადაწყვეტილებას ამოწმებს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი და ამტკიცებს სტუ-ის ვიცე-რექტორი. დასკვნაში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ს პროგრამასთან, აღიარებული კრედიტების რაოდენობა, სწავლების წელი/სემესტრი, რომლიდანაც უნდა გააგრძელოს სტუდენტმა სწავლა. აღნიშნული წელი/სემესტრი დგინდება აღიარებული კრედიტების რაოდენობისა და გასავლელი საგნების წინაპირობების გათვალისწინებით. დასკვნაში განისაზღვრება აგრეთვე წინა სემესტრების არაღიარებული საგნების გავლის რეკომენდებული სემესტრები. სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს დასკვნის პროექტს და მონაწილეობა მიიღოს მის კორექტირებაში. დასკვნის ეს ნაწილი წარმოადგენს სტუდენტთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველს. სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება რეალურად გასავლელი საგნების შესაბამისი კრედიტების რაოდენობის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტი შეიძლება გადაყვანილი იქნეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)
9. სტუ, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

4.11. სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებული აქტების გამოცემა

1. სტუ უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რის შემდეგაც მართვის სისტემა ამოწმებს სტუ-ის ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას ამ ინსტრუქციის მოთხოვნებთან, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს ელექტრონულ დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. მართვის სისტემა უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაციაც.
2. ბრძანების პროექტზე მართვის სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა სტუ-ის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ.
3. სტუ-ის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
4. უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე, იმ დაწესებულების მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, მართვის სისტემას წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.
5. მობილობით ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია; დადგენილ ვადაში დასახელებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა ან რეგისტრაციის გაუვლელობა არის სტუ-ში ჩარიცხვის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი.
6. თუ სტუდენტი პირად საქმესთან ერთად წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია მის მიერ ბოლო საგამოცდო პერიოდში სასწავლო კურსების ჩაბარების შესახებ, შეიძლება გაკეთდეს ახალი დასკვნა სწავლების წლის დადამატებით გასავლელი სასწავლო კურსების მითითებით.

4.12. შიდა მობილობა

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტი (მათ შორის სტატუსშეჩერებული) უფლებამოსილია სტუ-ის ფარგლებში შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)
2. სტუ უფლებამოსილია გამოაცხადოს შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ მის მიერ დადგენილი წესის გათვალისწინებით.
3. სტუ უფლებამოსილია გამოაცხადოს რიგგარეშე შიდა მობილობა, მის მიერ დადგენილი წესით, მის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში ან სტუ-ის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.

4. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია შიდა მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
5. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სწავლების პირველი წლის სტუდენტს, გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამზე გადამსვლელი სტუდენტისა, წარმოეშობა სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
6. შიდა მობილობა ხორციელდება სტუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში. აკადემიური საბჭოს დადგენილებით შესაძლებელია შიდა მობილობა განხორციელდეს ინდივიდუალურად.
7. ფაკულტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან შიდა მობილობის მსურველი პირის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ ამ მუხლის მე-10 პუნქტის პირველი – მე-7 ქვეპუნქტებისა და მე-11 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტის ანალოგიურად.
8. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა ფორმდება სტუ-ის რექტორის ბრძანებით. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ სტუ ვალდებულია შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს მართვის სისტემას.

მუხლი 5. გაუქმებულია. (№01-05-04/231, 21.08.2019 წ., №01-05-04/92, 20.07.2021 წ.)

მუხლი 6. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ვალდებულია უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღოს წერილობითი ინფორმაცია აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ.
2. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უცხო ქვეყანაში აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, სტუ-ს რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.
3. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილესაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტიუცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. დაუშვებელია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება, მის წასვლასთან და დაბრუნებასთან დაკავშირებით გამოიცემა სტუ-ს რექტორის

აქტები. საქართველოდან წასვლის პერიოდში სტუდენტს უნარჩუნდება სტუ-ს წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულება.

5. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს არ ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში. მის ჩამოსვლასთან და სწავლის დამთავრებასთან დაკავშირებით გამოიცემა სტუ-ს რექტორის აქტები.
6. იმ შემთხვევაში, თუ სტუ-სა და სხვა ქვეყნის დაწესებულებას შორის გაფორმებულია შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ, სტუ უფლებამოსილია, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღოს წინასწარი თანხმობა, რაც შემდგომში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ავტომატურად აღიარების საფუძველია. ასეთ შეთხვევაში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლება აღიარებულად ჩაითვლება.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წინასწარი თანხმობის მისაღებად სტუ-მ ცენტრში უნდა წარადგინოს სტუ-სა და სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ. წარდგენილ შეთანხმებაში მოცემული განათლების აღიარების წესი უნდა შეესაბამებოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მარეგულირებელ კანონმდებლობას.
8. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების მიზნებისათვის, დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე, სტუ ადგენს მის საგანმანათლებლო პროგრამებთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)
9. აღიარებას ექვემდებარება მიმღები დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)
10. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი და სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)
11. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამით. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)
12. სტუ უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)
13. დასკვნა ფორმდება სტუ-ის მიმღებ ფაკულტეტზე შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის უფროსის და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შემადგენლობით; კომისიის გადაწყვეტილებას ამოწმებს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი და ამტკიცებს სტუ-ის ვიცე-რექტორი.

დასკვნაში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. დასკვნაში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ს პროგრამასთან, აღიარებული კრედიტების რაოდენობა. სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს დასკვნის პროექტს და მონაწილეობა მიიღოს მის კორექტირებაში. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ., (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)

მუხლი 7. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა

1. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოსტექნიკურ უნივერსიტეტსა დასაქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას/დაწესებულებებს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, აგრეთვე საქართველოსტექნიკურ უნივერსიტეტსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას/საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას შორის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების საფუძველზე და რომლის დასრულების შემდეგ უმაღლესი სტუ-ს წესდებით დადგენილი წესით და ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების საფუძველზე გაიცემა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები.
2. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად სტუ-სა და მის განმახორციელებელ სხვა დაწესებულებას/დაწესებულებებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები. ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტი უნდა შეთანხმდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.
3. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება სტუ-სა და მისი განმახორციელებელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.
4. საქართველოს მოქალაქე ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სხვა პირი ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი განმახორციელებელი დაწესებულებების წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
5. სტუდენტი, რომელიც ჩარიცხულია საქართველოს რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

მუხლი 8. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე უფლებამოსილება

(№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)

1. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასა და განათლების აღიარებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისპროცესებში მონაწილეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესით“ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში.
3. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება (შემდგომში – უმაღლესი განათლების აღიარება) გულისხმობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ, რომლის სწავლის პერიოდი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ სრულად/ნაწილობრივ, მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენას სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
4. უმაღლესი განათლების აღიარების წინაპირობაა პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. დაინტერესებული პირის განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი უფლებამოსილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის განმცხადებელს სურს უმაღლესი განათლების აღიარება, მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებული პირის განათლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით.დაინტერესებული პირის განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი სტუ-ს უგზავნის განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციას.
6. ცენტრი სტუ-ის ჩართულობით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გამოცდის ჩატარებას, რომლის მიზანია დადგინდეს, ფლობს თუ არა პირი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით გათვალისწინებულ კომპეტენციას. სტუ-დან მიღებული დასკვნის საფუძველზე ცენტრი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
7. განათლების აღიარების მსურველის გამოცდის ჩატარების წესი და გამოცდის თემატიკა, სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმებით, მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)
8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდის ჩატარების წესი და თემატიკა უნდა მოიცავდეს:
ა) გამოცდის/გამოცდების ჩატარების თარიღებს, დროს, ადგილს, ხანგრძლივობას;
ბ) საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობას;
გ) გამოცდის პროცედურებს;
დ) საგამოცდო საკითხების ჩამონათვალს;
ე) შეფასებისა და გასაჩივრების წესებს.

9. დაინტერესებულ მხარეს გამოცდის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხოვს გამოცდის უფრო მოკლე ვადაში ჩატარებას.
10. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება მოიცავს უცხოეთში მიღებული აკადემიური კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებას. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირების მიერ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დისტანციურად მიღებული განათლების აღიარებას, რა დროსაც სასწავლო პროცესი სრულად ან ნაწილობრივ მაინც არ ხორციელდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე პროფესორ – მასწავლებლისა და სტუდენტის საკონტაქტო საათების ფარგლებში.
11. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე ცენტრში წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს სტუ-ის დასკვნა მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების შესაბამისობის შესახებ.
12. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი ადგენს სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებთან.
13. ცენტრი აღიარებს პირის მიერ უცხო ქვეყნის აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოპოვებულ სწავლის შედეგებს, ხოლო უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სტუ, სადაც პირს სურს სწავლის გაგრძელება.
14. დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის შედგენის მიზნით, სტუ ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
15. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
16. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი და სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
17. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით.
18. სტუ უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
19. აღიარება ფორმდება დასკვნის სახით სტუ-ის მიმღებ ფაკულტეტზე შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შემადგენლობით; კომისის გადაწყვეტილებას ამოწმებს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი და ამტკიცებს სტუ-ის ვიცე რექტორი. დასკვნაში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შემადგენლობით; კომისის გადაწყვეტილებას ამოწმებს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი და ამტკიცებს სტუ-ის ვიცე რექტორი. დასკვნაში მიეთითება სტუდენტის

მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. (№01-05-04/87, 14.07.2022 წ.)

20. იმ შემთხვევაში, თუ სტუ-სა და სხვა ქვეყნის დაწესებულებას შორის გაფორმებულია შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ, სტუ უფლებამოსილია, ცენტრისგან მიიღოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე განახორციელოს უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის ანალოგიურად.

მუხლი 9. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება.

(№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)

1. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით, დაინტერესებულმა პირმასსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარუდგენოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაინტერესებული პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შესაბამისობის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დასკვნის მომზადების მიზნით, სტუ, ცენტრის მომართვის საფუძველზე, გამოცდის ჩატარების გზით, ადგენს დაინტერესებული პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შესაბამისობას მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და გასცემს დასკვნას გავლილი საგნების ცნობის, მიღებული შეფასებებისა და კრედიტებით გაანგარიშების შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული პირის მიერ გავლილ საგნებში მიღებული შეფასებები არ შეესაბამება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით (შემდგომში - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი) გათვალისწინებულ შეფასების სისტემას, სტუ ახდენს დაინტერესებული პირის მიერ მიღებული შეფასებების გადაყვანას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებულ შეფასებებზე.

4. თუ არ არსებობს წერილობითი მონაცემი დაინტერესებული პირის მიერ გავლილი საგნებისა და მიღებული შეფასების შესახებ, სტუ ატარებს გამოცდას დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ საგნებში, ახდენს მის შეფასებასა და კრედიტების მინიჭებას. გამოცდა ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. შეფასებისას გამოიყენება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი. დაინტერესებულ მხარეს გამოცდის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხოვს გამოცდის უფრო მოკლე ვადაში ჩატარებას. გამოცდის ჩატარების შესახებ ასევე წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული ცენტრი.

5. ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდის მიმდინარეობის მონიტორინგი.

მუხლი 9[1]. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება.

(№01-05-04/192, 07.12.2021 წ.)

1. სტუ უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.
2. აღიარებას ექვემდებარება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კრედიტების აღიარების მიზნით სტუ ადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
4. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
5. სტუ უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. სტუ უფლებამოსილია აგრეთვე დაადგინოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობა შეფასების სხვა სისტემასთან (იხ. დანართი 2).
6. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამით.
7. თუ სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა განსხვავდება მე-2 დანართში მოყვანილი სისტემებისაგან, სტუ უფლებამოსილია სტუდენტისაგან მოითხოვოს გამომშვები დაწესებულებიდან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.
8. აღიარება ფორმდება დასკვნის სახით სტუ-ის მიმღებ ფაკულტეტზე შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტამენტების უფროსის/უფროსების შემადგენლობით; კომისიის გადაწყვეტილებას ამოწმებს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი და ამტკიცებს სტუ-ის ვიცე-რექტორი. დასკვნაში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ის პროგრამასთან, აღიარებული კრედიტების რაოდენობა, სწავლების წელი/სემესტრი, რომლიდანაც უნდა გააგრძელოს სტუდენტმა სწავლა. აღნიშნული წელი/სემესტრი დგინდება აღიარებული კრედიტების რაოდენობისა და გასავლელი საგნების წინაპირობების გათვალისწინებით. დასკვნაში განისაზღვრება აგრეთვე წინა სემესტრების არაღიარებული საგნების გავლის რეკომენდებული სემესტრები. სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს დასკვნის პროექტს და მონაწილეობა მიიღოს მის კორექტირებაში. დასკვნის ეს ნაწილი წარმოადგენს სტუდენტთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველს. სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება რეალურად გასავლელი საგნების შესაბამისი კრედიტების რაოდენობის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტი შეიძლება გადაყვანილი იქნეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე.

9. სტუ (საჭიროებისას), ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობებისა და სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივ აქტს სტუდენტისთვის სწავლების წლის/სემესტრის ცვლილების თაობაზე.

მუხლი 9². დიპლომირებული სპეციალისტის მიერ დაგროვებული კრედიტების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისათვის აღიარება. (№01-05-04/192, 07.12.2021 წ.)

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში სტუ-მ დიპლომირებული სპეციალისტის მიერ დაგროვებული კრედიტები შეიძლება ჩათვალოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისათვის. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლისთვის დიპლომირებული სპეციალისტი უნდა ჩაირიცხოს სტუ-ში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. აღიარებას ექვემდებარება იმ პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კრედიტების აღიარების მიზნით სტუ ადგენს პირის მიერ პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
4. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
5. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამით.
6. კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები ხორციელდება მე-9[1] მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების ანალოგიურად.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. გაუქმებულია. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)
2. გაუქმებულია. (№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)
3. სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მე-7 პუნქტში მითითებულ ვადაში უფლება აქვს, მორიგი სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე, განცხადებით მიმართოს რექტორს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე (გარდა სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა); ასეთ პირს სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს მორიგი სემესტრის დასაწყისიდან.
4. სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირი სტატუსის აღდგენისას, როგორც წესი, სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი; სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, სტატუსშეჩერებულმა პირმა, სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, სწავლა შეიძლება გააგრძელოს განსხვავებული სემესტრიდან, „სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით“ დადგენილი დამატებითი სემესტრების ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 11. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. სტუ ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის სტუ-ის მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილებების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლელო მომსახურებას.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოყენებული იქნება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის სტუ უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის გზით.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებებები

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა დამეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ძალაში შესვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს სტუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის აღნიშნული წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. პირი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, ასევე განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვალს, №01-05-04/29 დადგენილებით.

შეტანილია ცვლილებები:

2019 წლის 21 აგვისტოს, დადგენილება №01-05-04/231;

2021 წლის 20 ივლისს, დადგენილება №01-05-04/92;

2021 წლის 07 დეკემბერს, დადგენილება №01-05-04/192;

2022 წლის 14 ივლისს, დადგენილება №01-05-04/87.

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ განცხადებასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტები:

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველებმა განცხადებას უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:
   ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   გ) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-9პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეების განცხადებას ასევე უნდა დაერთოს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   დ) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   ე) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-9პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).
2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველებმა განცხადებას უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:
   ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ბ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   გ) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-10პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ამ პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.
   დ) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციის გარდა, განცხადებას ასევე უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების

დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

ე) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარდა უნდა წარმოადგინონ:

ე.ა) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-9პუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები;

ე.ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი, რომელიც ადასტურებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე პირის ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვას.

ვ) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარდა უნდა წარმოადგინონ ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი.

3. მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.
4. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

დანართი 2

სტუდენტის დატვირთვის კრედიტებით გაანგარიშების წესი,
როდესაც მის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა არ არის შესრულებული
ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად
(№01-05-04/92, 20.07.2021 წ.)

1. 1 UK კრედიტი შეესაბამება 0,5 ECTS კრედიტს;
2. საკონტაქტო საათებში მოცემული სასწავლო კურსის დატვირთვის შესაბამისობა დგინდება შემდეგნაირად:
   - 1-50 საათი შეესაბამება 3 კრედიტს;
   - 51-80 საათი შეესაბამება 4 კრედიტს;
   - 81-120 საათი შეესაბამება 5 კრედიტს;
   - 121-160 საათი შეესაბამება 6 კრედიტს.
3. სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობა დგინდება შემდეგნაირად:

შეფასების ადრე მოქმედისისტემების ნიშნები/ქულები		ECTS-ისშეფასების ქულა
ხუთბალიანი სისტემის ნიშნები	5 (ფრიადი)	91-100 (საშუალო - 96)
	4 (კარგი)	71-90 (საშუალო - 81)
	3 (დამაკმაყოფილებელი)	51-70 (საშუალო - 61)
	ჩათვლა	მიღებული დადებითი ნიშნების საშუალო არითმეტიკულის შესაბამისი ქულა
UKკრედიტების შესაბამისი შეფასებები (ქულები)	81-100 (ფრიადი)	91-100 (საშუალო - 96)
	61-80 (კარგი)	71-90 (საშუალო - 81)
	40-60 (დამაკმაყოფილებელი)	51-70 (საშუალო - 61)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატი-კისა და მართვის ფაკულტეტის ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის შეფასებები	16-20 (ფრიადი)	91-100 (საშუალო - 96)
	12-15 (კარგი)	71-90 (საშუალო - 81)
	8-11 (დამაკმაყოფილებელი)	51-70 (საშუალო - 61)

4. საშუალო შეწონილი შეფასების (Grade Point Average – GPA) გამოსათვლელად თითოეული სასწავლო კურსის და კვლევითი კომპონენტის (ამ უკანასკნელის კრედიტებით/საათებით გაანგარიშების შემთხვევაში) კრედიტების/საათების რაოდენობა მრავლდება იმავე სასწავლო კურსში/კვლევით კომპონენტში მიღებული ქულების (ბალების) შესაბამის პირობით შეფასებაზე და ასეთი ნამრავლების ჯამი იყოფა კრედიტების/საათების ჯამზე. (№01-05-04/192, 07.12.2021 წ.)

5. ქულების (ბალების) შესაბამისი პირობითი შეფასებების სიდიდეები მოცემულია ცხრილებში:

ა) ECTS-ის ქულების საფუძველზე

ქულა	აღნიშვნა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
91 - 100	A	ფრიადი	დადებითი	4,00
81 - 90	B	ძალიან კარგი	დადებითი	3,25
71 – 80	C	კარგი	დადებითი	2,50
61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,75
51 – 60	E	საკმარისი	დადებითი	1,00
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა	უარყოფითი	0,00
0 – 40	F	ჩაიჭრა	უარყოფითი	

ბ) UK კრედიტების შესაბამისი ქულების საფუძველზე

ქულა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
81 - 100	ფრიადი	დადებითი	4,0
61 - 80	კარგი	დადებითი	2,5
40 - 60	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,0
0 – 39	არადამაკმაყოფილებელი	უარყოფითი	0,0

გ) 5-ბალიანი შეფასებების საფუძველზე

ბალი	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
5	ფრიადი	დადებითი	4,0
4	კარგი	დადებითი	2,5
3	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,0
2	არადამაკმაყოფილებელი	უარყოფითი	0,0

დ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის (20-ქულიანი) შეფასებების საფუძველზე

ქულა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
16-20	ფრიადი	დადებითი	4,0
12-15	კარგი	დადებითი	2,5
8-11	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,0
0-7	არადამაკმაყოფილებელი	უარყოფითი	0,0

დანართი 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯამური კონტინგენტის დაგეგმვის მიზნით შერჩეული ინდიკატორები
(№01-05-04/231, 21.08.2019 წ.)

№	ინდიკატორების დასახელება
1	აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან
2	ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან
3	აფილირებული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან
4	ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა
5	ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების რაოდენობის თანაფარდობა
6	აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი, %
7	მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი, %
8	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი, %
9	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, %
10	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, %
11	სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი, %
12	კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან
13	საერთო ფართის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან, $მ^2$
14	სასწავლო ფართის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან, $მ^2$